



არემჭი

სიასღლეები

რიჩ მეტალს გრუპი

N 25 | ოქტომბერი | 2016



„არემჭისა“
და
ბოლნისის
საფეხბურთო
კლუბ „სიონს“
შორის
მემორანდუმი
გაფორმდა

3 ოქტომბერს, ბოლნისში, კომპანია „არემჭისა“ და ბოლნისის საფეხბურთო კლუბ „სიონს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი. აღნიშნული მემორანდუმის თანახმად, კომპანია 1 წლის განმავლობაში საფეხბურთო კლუბ „სიონს“ ყოველთვიურად დააფინანსებს და კლუბის განვითარებაზე იზრუნებს.

„არემჭის“ მხრიდან მემორანდუმს ხელი კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით ბალანჩივაძემ მოაწერა. იგი იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული მემორანდუმის გაფორმება საფეხბურთო კლუბის კიდევ უფრო განვითარებას შეუწყობს ხელს.

"დღეს კომპანია „არემჭის“ და კლუბ „სიონს“ შორის გაფორმდა მემორანდუმი, რითიც კომპანია პასუხისმგებლობას იღებს, ერთი წლის განმავლობაში დააფინანსოს საფეხბურთო კლუბი. მოხარულები ვართ ამ ყველაფრით და

იმედია, რომ ჩვენი თანამშრომლობით ხელს შევუწყობთ ფეხბურთის კიდევ უფრო განვითარებას რეგიონში," - განაცხადა დავით ბალანჩივაძემ.

„არემჭი“-სთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა კლუბის გენერალურმა დირექტორმა ლადო ბურდულმა. "ძალიან მნიშვნელოვან მემორანდუმს მოეწერა ხელი. ხელშეკრულების ვადა არის ერთი წელი.



გამგრძელებს მეორე გვერდზე

გაგრძელება, დასაწყისი პირველ გვერდზე



ეს არის ძალიან დიდი მიღწევა. კიდევ ერთხელ მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო კომპანია „არემეტის“. ამ ეტაპზე საფეხბურთო კლუბისთვის მსგავსი სახის დახმარება, შეიძლება ითქვას, რომ სასიცოცხლოა, რათა „სიონმა“ უფრო მეტი გააძელოს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არა მარტო ერთწლიანი, არამედ მრავალწლიანი ურთიერთობა გვქენება. შევეცდებით, რომ მათი ნდობა გავამართლოთ“, - აღნიშნა ლადო ბურდულმა.

კაზრეთელი სპორტსმენების წარმატებული წელი

კაზრეთელი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები წარმატებით განაგრძობენ მონაწილეობას 2016 წლის სატურნირო კალენდარში ჩანიშნულ საერთაშორისო ასპარეზობებზე.

12-14 ოქტომბერს ერევანში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც 2001-2002 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ, თავი კაზრეთელმა ბაჩუკი ავალიშვილმა (50 კგ.) და დავით ურუმაშვილმა (58 კგ.) გამოიჩინეს.

ურუმაშვილი ტურნირს მე-3 ადგილისათვის დაძაბული ბრძოლის დროს გამოეთიშა, ხოლო ავალიშვილმა ირანელი მეტოქე დაამარცხა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

27-29 ოქტომბერს, თბილისში, ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის ასევე ემზადება 3 კაზრეთელი სპორტსმენი. ავალიშვილთან და ურუმაშვილთან ერთად, რაიონის სახელს გივი



დემურაშვილი, მიხეილ დევრისაშვილი და სანან ქარზემოვი დაიცავენ.

თურქი, სომეხი და აზერბაიჯანელი მოჭიდავეების მხრიდან დიდი კონკურენციის მიუხედავად, სპორტსმენების მწვრთნელი ელგუჯა ბასილაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ კაზრეთში კვლავაც მედლებით დაბრუნდება.



კაზრეთის რაგბის გუნდის „ყოჩების“ სამი წევრი გივი ასლანიშვილი, დათა გოგილავა და თორნიკე კვენეტაძე საქართველოს თხუთმეტ წლამდე ნაკრებში ჩაირიცხნენ. როგორც კაზრეთის „ყოჩების“ მწვრთნელმა შოთა მალრაძემ აღნიშნა, სამივე მორაგბე სანაკრებო შეკრებების პარალელურად, გუნდშიც აქტიურად იასპარეზებს და B ლიგაში სატურნირო ადგილს კიდევ უფრო გააუმჯობესებენ.

„არემატის“ დაცვის პოლიციის თანამშრომლების სპორტული წარმატება

შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შიდა ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელმაც 15 სექტემბერს აიღო სტარტი, 10 ოქტომბერს დასრულდა. ფინალურ შეხვედრაზე ერთმანეთს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოსა და ქვემო ქართლის დაცვის პოლიციის გუნდები შეხვდნენ. მეორე საპრიზო ადგილს ქვემო ქართლის დაცვის პოლიციის გუნდი დაეუფლა, რომელიც ძირითადად კომპანია „არემატის“ დაცვის პოლიციის თანამშრომლებისგან იყო დაკომპლექტებული (კაპიტანი ავთანდილ ჭიშიაშვილი-„არემატის“ დაცვის პოლიციის



შეტვირთებაზე ჩვენმა გუნდმა „ქვემო ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო“, რომლის რიგებში კომპანია „არემატის“ დაცვის პოლიციის ხუთი თანამშრომელიც იყო, პირველად იასპარეზა და ფინალში მოხვედრაც შეძლო. გვხვარია, რომ გარკვეულ წარმატებას უკვე მივაღწიეთ და ძალიან სასიამოვნოა, როდესაც მსგავს ტურნირებში მონაწილეობით მეც და ჩემი ბიჭებიც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ვუწყობთ ხელს“. აღნიშნულ ტურნირში, რომლის მიზანიც ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და სპორტის პოპულარიზაციაა, მთელი საქართველოს მასშტაბით დაცვის პოლიციელებით დაკომპლექტებული 16 გუნდი იღებდა მონაწილეობას.



სამსახურის უფროსი), ნიკოლოზ ძმანაშვილი, ირაკლი შენგელია, ლაშა აბუხბაია, ლაშა გოგებაშვილი). საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ვარდიაშვილმა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გურამ ტომარაძემ სპეციალური სუვენირები გადასცეს.

ავთანდილ ჭიშიაშვილი (ტურნირის ფინალისტი, „არემატის“ დაცვის პოლიციის სამსახურის უფროსი) - „ტურნირში, რომელიც 15 სექტემბერს დაიწყო, საქართველოს მასშტაბით, დაცვის პოლიციის სამმართველოების გუნდები იღებდნენ მონაწილეობას. ამ



“არემჯის” თასი 2016 დასრულდა



დონისძიებები ეწყობა. მონაწილეებს ძალიან გვიხარია და მთელი წელი ვეშაბდებით ამ შეჯიბრისთვის. თამაშების დროს ერთობიან მაყურებლებიც, რომლებიც მთელი მონდომებით გულშემატკივრობენ რჩეულ გუნდებს. დიდი მადლობა „არემჯის“ ასეთი ტურნირის ორგანიზებისთვის.

„არემჯის“ ორგანიზებით დაბაში მინი-ფეხბურთის ტურნირი 2014 წლიდან იმართება. კომპანიის მიერ დაწესებული საპრიზო ფონდიდან პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს ფულადი ჯილდოები გადაეცა. სამივე საპრიზო

3 ოქტომბერს დაბა კაზრეთის სტადიონზე „არემჯის თასი 2016“-ის ფინალური შეხვედრები გაიმართა. ერთკვირიანი დაძაბული სატურნირო ბრძოლის შემდეგ, წელს გამარჯვება „ლიმილის ბიჭებმა“ იზიგმეს, რომლებმაც მოწინააღმდეგე გუნდი პენალების სერიაში დაამარცხეს. **ლევან ნერსესიანი (ტურნირის გამარჯვებული):**

„დღეს შევხვდით 126 ბინას და დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოვიგეთ. ძალიან კარგი მატჩი იყო, ბევრი ლამაზი გოლი ვნახეთ. მადლობა „არემჯის“ ასეთი წარმატებული და ხარისხიანი ტურნირის ჩატარებისთვის“.

ილია საბიაშვილი (ტურნირის მონაწილე):
„ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ასეთ პატარა დაბაში მსგავსი სპორტული



ადგილზე გასული გუნდის წევრები ინდივიდუალური ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს მედლებით კომპანიის

აღმასრულებელმა დირექტორმა დავით ბალანჩივაძემ დააჯილდოვა.

დავით ბალანჩივაძე („არემჯის“

აღმასრულებელი დირექტორი):

„როგორც ხედავთ, საფინალო მატჩის შემდეგ ყველა გახარებული და კმაყოფილია. მადლობა ტურნირში მონაწილე გუნდებს ასეთი მონდომებისა და კარგი თამაშისათვის. ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ ამ ტურნირის ტრადიციას და მომავალი წლიდან მას უფრო მასშტაბურს გავხდით.“

